35. აღმოაჩინე მინა ქართული. დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალისა და ს.ს. “მინის” ერთობლივი გამოფენის კატალოგი. ქართულ-ინგლისურ-თურქული პარალელური ტექსტები (ნუგზარ დლონგტან თანაავტორობით). თბილისი, 2005 წ.
36. Миссионерская деятельность Св. Нино в столице картлийского царства Великой Мцхета. Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
37. Ранний этап христианства в Грузии - Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
38. Древнейшие религиозные верования в Грузии. Православная энциклопедия. т. XIII. Москва 2007.
39. ავთლობის ტაძარი დიდ მცხეთაში. ვახტაგბ ბერიძის სახელობის ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბილისი 2008.
40. The Apollo temple in didi Mtskheta “Apollo-Sun”. Vakhtang Beridze 1<sup>st</sup> international symposium of Georgian culture. Georgian art in the context of European and Asian cultures. Proceedings. Tbilisi 2008.
41. ქართლის სამეცნიერო და სასანიდური ირანის პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობის ისტორიიდან (ახ.წ.IIIს-ის მე-2 ნახვარი).

- ჯურხა ნადირაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თქმისები. თბილისი 2009
42. ქართლის სამეცნიერო და სასახიდური ირანის პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობის ისტორიიდან (ახ.წ.IIIს-ის მე-2 ნახევარი). ჯურხა ნადირაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. საიუბილეო კრებული. თბილისი 2010

#### IV. პედაგოგიური საქმიანობა

1. საქართველოს ისტორია და ქართული კულტურის ისტორია. სრული სალექციო კურსი. საქართველოს ზოოფეტერინალური ინსტიტუტი 1989-1991 წწ.
2. საქართველოს ისტორია და ქართული კულტურის ისტორია. თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკური 1989-1991წწ.
3. ხელოვნების დამოუკიდებული სკოლა. არქეოლოგიისა და კულტურის ისტორიის საფუძვლები. 1990-1991წწ.
4. არქეოლოგის ზოგადი კურსი. ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 2007 - 2010
5. არქეოლოგის ზოგადი კურსი. ილის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2009 წ.

# ვიტალი ნაზაროვი

ხმელნიცის ქუჩა 44 „ა“  
საქართველო  
0136 თბილისი  
ტელ: (995 32) 79 10 76  
მობ: (995 93) 39 31 55  
ელ.ფოსტა: [vivanazarone@mail.ru](mailto:vivanazarone@mail.ru)

## პირადი ინფორმაცია

- ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
- სქესი: მამრობითი
- დაბადების თარიღი: 27.05.1951
- დაბადების ადგილი: თბილისი

## განათლება

1973-1980 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი  
(სამრეწველო და ქალაქებური მარებითი მშენებლობის ფაკულტეტი)  
ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია 1980  
მაგისტრის ხარისხი ქალაქ-გეგმარებით მშენებლობაში.  
თელავის ღვინის ქარხნის პროექტირება, ხარჯთაღრიცხვა, არქიტექტურა, ვენტილაცია.

## მუშაობის გამოცდილება

შ.პ.ს. „ტოპ“ - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები	
ტექნიკური განყოფილების ინჟინერი შ.პ.ს. „მ & ნ“	2006-დღემდე
ქალაქებური მარებითი ინჟინერია - „კარიტას საქართველო“	2004-დღემდე
დაგეგმარებისა და ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი	1989-2004

### „სპუტნიკის მდგრადიზაინმუზენი“

დაგეგმარებისა და ინდუსტრიის დეპარტამენტის უფროსი 1980-1989  
სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების საბჭოში

კულტურის სამინისტროში  
ქალაქებებითი ინჟინერიის სამშენებლო დეპარტამენტში 1975-1980  
ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტი და მრჩეველი სამშენებლო საქმიანობაში.

## შესრულებული სამუშაოები

- კარიტასის ახალგაზრდული ცენტრი
- სარემონტო სამუშაოები ისტორიული ძეგლები: იყალთოს მონასტერი, უბისის მონასტერი, სომხური კათედრალი თბილისში, ვარძიის ისტორიული კომპლექსი.
- მიწისძვრით დაზიანებული საბავშვო ბაღებისა და სკოლების ზედამხედველობა
- ოპერისა და ბაღების თეატრის აღდგენითი სამუშაოები, ფასადის მოპირკეთება.
- სამხატვრო აკადემიის აღდგენითი სამუშაოები
- რუსთაველის თეატრის სრული რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- სახელმწიფო კონსერვატორიის რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეკონსტრუქცია
- ქუთაისში კალათბურთის სპორტული კომპლექსის ხარჯთაღრიცხვა
- საცურაო აუზების და სპორტული დარბაზების ხარჯთაღრიცხვა: გურჯაანი, საგარეჯო, მესტია, ლანჩხუთი, ჭიათიურა.
- სასტუმრო გუდაურში

## ენები

- ქართული-კარგად
- რუსული-კარგად
- სომხური-კარგად
- ონგლისური-საშუალოდ

## კომპიუტერული პროგრამები

- Microsoft Excel, Microsoft Word
- Archicad

# CURRICULUM VITAE

## თამარ მელივა

### სახელი გვარი შემკვები

დაბადების თარიღი	12.05.1990
მისამართი	ხელოვნობის ქუჩა №4, თბილისი
E-mail	tamarameliva@gmail.com
Tel.	+ (995 99) 12 33 14

### კარიერა

თარიღი სახწავლო დაწესებულება ფაკულტეტი საფეხური	2011წ. – დღემდე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი – Architecture Heritage Preservation and Enhancement მაგისტრატურა
თარიღი სახწავლო დაწესებულება ფაკულტეტი საფეხური	2012წ. – 2013წ. ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის ფაკულტეტი – Architecture Heritage Preservation and Enhancement მაგისტრატურა
თარიღი სახწავლო დაწესებულება ფაკულტეტი საფეხური	2007წ. – 2011წ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაცია- კონსერვაციის სპეციალობა ბაკალავრი
თარიღი სახწავლო დაწესებულება ფაკულტეტი საფეხური	მარტი – ივნისი, 2011წ რომის სახელმწიფო უნივერსიტეტი "La Sapienza" prima facolta' di Architettura Ludovico Quaroni, არქიტექტურილ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაცია, ბაკალავრიატი, თავისუფალი მსმენელი (იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტიპენდია)
თარიღი სახწავლო დაწესებულება	1996წ. – 2007წ. 47-ე საჯარო სკოლა

### სამსახური კურსები

2013 - დღემდე

2012

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია,  
ტიუტორი - რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და  
თეორიის ფაკულტეტი  
ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი  
თბილისის მეტეხის ტაძრის ტაძრის სარეაბილიტაციო  
სამუშაოების ღონისძიებების ფარგლებში მდგომარეობის

წინასწარი პვლევა, დაზიანებათა სქემის შედგენა.  
პვლევითი ჯგუფის წევრი

2012	ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დონისძიებების ფარგლებში ტაძრის სამშენებლო მასალის მდგომარეობის შეფასება და ლაბორატორიული პვლევა პვლევითი ჯგუფის წევრი
2011	საქართველოს მემკვიდრეობა ტერიტორიული მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია – რეაბილიტაციის პროექტი არქიტექტურის რესტავრატორი
2011	მანგლისის ტაძრის წინასაპროექტო შეფასება
2011	ატენის სიონის ტაძრის კედლის მხავრობისა და ქვედა საკონსერვაციო სამუშაოები – მდგომარეობის წინასწარი პვლევა, დაზიანებათა სქემის შედგენა. პვლევითი ჯგუფის წევრი
2010	საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი, ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია სომიწოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია – ძეგლის შესწავლა, გაწმენდა და აზომვა
2008	წვენი მემკვიდრეობა სვანეთში - მესტიის 10 კოშკის რეაბილიტაციის პროექტი აზომვითი სამუშაოები

#### კურსის ცდები:

ქართული	მშობლიური
ინგლისური	თავისუფლად
იტალიური	კარგად (B2)
რესული	საშუალოდ

#### კომუნიკაციური პროგრამები:

AutoCAD

Photoshop

Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint)

#### დაზიანებითი ინიციატივები:

2010	კონფერენცია და Workshop “Old Tbilisi Identity and Spirit”
------	---

# CURRICULUM VITAE

## გიორგი ტრაპაიძე

### პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი

მისამართი

E-mail

ტელეფონი

08.05.1992

ს. ცინცაძის ქ. №30ა, შს. ბN52, თბილისის, საქართველო  
giorgi.trapaidze@yahoo.com  
(+995 68) 320 530

### განათლება

თარიღი

სახწავლო დაწესებულება  
ფაქულტეტი

საფეხური

2010წ. - დღემდე

თბილისის სახელმწიფო სამსატვრო აკადემია  
რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის  
ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-  
კონსერვაციის სპეციალობა  
ბაკალავრიატი

თარიღი

სახწავლო დაწესებულება

1998წ. – 2010წ.

№1 ექსპერიმენტალური სკოლა

### სამუშაო გამოცდილება

2011

საქართველოს მემეკვიდრეობა. ონის მუიციპალიტეტის  
სოფ. ლების დურიოანი სახლის რეაბილიტაციის პროექტი.  
(არქ-რესტავრატორი)

2011

საქართველოს მემეკვიდრეობა. გარდაბნის  
მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის თუშმალიშვილების  
საგვარულო ქოშკის რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-  
რესტავრატორი)

2011

საქართველოს მემეკვიდრეობა. დუშეთის  
მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სასამართლოს  
რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)

2012

ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი  
ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების  
ღონისძიებების ფარგლებში ტაძრის სამშენებლო მასალის  
მდგომარეობის შეფასება და ლაბორატორიული ქმლევა  
კვლევითი ჯგუფის წევრი

2012

საქართველოს მემეკვიდრეობა. ასპინძის  
მუნიციპალიტეტის ვანის ქვაბების გუმბათიანი ეკლესიის  
რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)

2012 საქართველოს მემკვიდრეობა. ასპინძის  
მუნიციპალიტეტის სოფ. კვარშას გადასახლების  
რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრაციონი)

2012 საქართველოს მემკვიდრეობა. ბათუმის არქეოლოგიის  
მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრა,  
ფინანსური ხარჯთაღრიცხვა.

2012 საქართველოს მემკვიდრეობა. გელათის სამონასტრო  
კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტის კორექტირება.

2012 თბილისის მეტების ტაძრის სარეაბილიტაციო  
ლონისძიებების ფარგლებში მასალის მდგომარეობის  
შეფასება და ლაბორატორიული კვლევა, კვლევითი  
ჯგუფის წევრი.

### გნების ცოდნა

ქართული  
ინგლისური  
რუსული

მშობლიური  
თავისუფლად  
საშუალოდ

### კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Windows (xp, vista, 7)  
Linux  
Microsoft Office  
PHP (Web programming)  
HTML(Web design and programming)  
Web Server Management  
AutoCAD  
Photoshop  
Adobe Dreamweaver

## CURRICULUM VITAE

## Økonomi og økonomisk politikk

*and then*

დაბადების თარიღი 14.02.1989  
მისამართი დ. უზნაძის ქუჩა №2, თბილისი  
E-mail tasopotskhishvili@gmail.com  
Tel. + (995 99) 50 50 56

116 *Journal of Health Politics*

თარიღი	2012წ. – დღემდე
სახწავლო დაწესებულებებია ფაკულტეტი	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, მონუმენტური მხატვრობის რესტავრაცია - კონსერვაციის სპეციალობა
საფქხერო	მაგისტრატურა
თარიღი	2008წ. – 2012წ.
სახწავლო დაწესებულებებია ფაკულტეტი	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, დაზგური მხატვრობის რესტავრაცია- კონსერვაციის სპეციალობა
საფქხერო	ბაკალავრი
თარიღი	2004წ. – 2008წ.
სახწავლო დაწესებულებებია ფაკულტეტი	თბილისის დაზგურამიშვილის სახელობის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი
უაკულტეტი	გამოყენებითი ხელოვნება
საფქხერო	ბაკალავრი
თარიღი	1995წ. – 2004წ.
სახწავლო დაწესებულებებია ფაკულტეტი	თბილისის გურამ რამიშვილის სააგტორო საშუალო სკოლა

## სამსახურის მიზანი

2012-2013	გარძის კედლის მხატვრობის კონსერვაცია ლონდონის უნივერსიტეტის კარტის ინსტიტუტის კედლის მხატვრობის კონსერვაციის დეპარტამენტი თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოუნიების ინსტრიუმენტისა და თეორიის ფაკულტეტი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. მონაწილე
2012-2013	ონის, ქუთაისის, ყვარელის, ხაშურის, ცაგერის, გორის მუზეუმების ექსპონატების კონსერვაცია მონაწილე
2013	მარიამხევის (იგივე მარიამჭინდის) ეკლესიის (გორის მუნიციპალიტეტი) კედლის მხატვრობის პირველადი, გადაუდებელი საკონსერვაციო და სრული საკონსერვაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მონაწილე
2013	ბელათის წმ. მარინეს ეგვდერისა და სამხრეთი კარიბჭის მოხატულობის კონსერვაცია. ხელოუნიების საერთაშორისო კონკრეტული ამერიკის ელჩის გრანტი მონაწილე
2012	ივაის კედლის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მონაწილე
2012	ატენის სიონის საამშენებლო მასალის ძიგომარეობის შეფასება, ლაბორატორიული კვლევა და კონსერვაცია სამხრეთ შვეიცარიის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი (SUPSI) თანამონაწილეობით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მონაწილე
2011	ნიკორწმინდის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მონაწილე

### ქართული კურსები

ქართული	მშობლიური
ინგლისური	ძარგად
რუსული	თავისუფლად

### კომპიუტერული გრაფიკი

AutoCAD  
Photoshop  
Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint)

### სამუშაო მიმღებელები

2011

ბათუმის ხელოვნების სახავლო უნივერსიტეტი  
სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია

2010

მონაწილე  
Degree and Profession Florence World Regional Festival,  
Tbilisi 2010  
Workshop of Keti Kavtaradze “Creative Shibori”

**ნუტა პაბა შეკვეთი**  
მცხეთის ქ. 8, თბილისი, 0179  
ტელ: +995 32 913107  
მობ: +995 92 102383  
Mail: [nutsa\\_p@yahoo.com](mailto:nutsa_p@yahoo.com)

უროვნება: ქართველი  
დაბადების თარიღი: 06/01/1991

## განათლება

### 2013-მიმდინარე

ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია,  
რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი,  
სახითი ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია/კონსერვაცია (კედლის მხატვრობის და ქვის  
რესტავრაცია/კონსერვაცია) – მაგისტრატურა

### 2009-2013

ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია,  
რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, სახითი ხელოვნების ნიმუშთა  
რესტავრაცია/კონსერვაცია - ბაკალავრიატი

### 2013 ივლისი-აგვისტო

ვარძის დეპოზიტში მინიჭის ტაბის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო პროექტი (ოთხ  
წლიანი თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას, საქართველოს  
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ლონდონის "Courtauld Institute of  
Art" -ს შორის) ეტაპი 2, სტუდენტის სტატუსი

### 2013 აპრილი

კედლათის დეპოზიტში მინიჭის ტაბის კარიბჭის (წმ.მარინეს ეგვეტერის)  
საკონსერვაციო პროექტი, პრაქტიკული კურსისა და პროექტის დოკუმენტაციის შედგენის  
თანამოაწყობელები.

### 2012 სექტემბერი-ოქტომბერი

ვარძის დეპოზიტში მინიჭის ტაბის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო პროექტი (ოთხ  
წლიანი თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას, საქართველოს  
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ლონდონის "Courtauld Institute of  
Art" -ს შორის) ეტაპი 1, სტუდენტის სტატუსი

### 2010

ინგლისური ენის სერთიფიკატი - FCE (First Certificate in English)

### 2009 სექტემბერი-ოქტომბერი

ინგლისური ენის კურსი - FCE (First Certificate in English) "საერთაშორისო სახლი" (IH).

### 2008-2009

გაცემითი პროგრამა WE (World Experience) აშშ-ზე, USA

### 2009

XII კლასის აშშ-ს სკოლის ატენტატი - Twin Bridges Schools,  
Twin Bridges, MT 59754  
406-684-5656  
[www.twinbridges.k12.mt.us](http://www.twinbridges.k12.mt.us)

### 2007-2008

"საერთაშორისო სახლი" (IH) ინგლისური ენის სერთიფიკატი - Advanced B

### 1997-2009

"21-ე საჯარო სკოლა", პუბლიკური ქ., თბილისი, 0179

## განათლება

ენები	ქართული: მშობლიური ინგლისური: მაღალი რუსული: საშუალო გერმანული: დაბალი
-------	---

კომპიუტერული უნარები: Microsoft Office, AutoCAD, Adobe Illustrator, Photoshop

სადემონსტრაციო მასალა



ანჩისხატის ტაძრის არსებული მდგომარეობის  
ფოტოფიქსაცია





აღმოსავლეთი ფასადი



დასავლეთი ფასადი



ჩრდილოეთი ფასადი



სამხრეთი ფასადი



მინაშენის ფოტო



მინაშენის ფოტო



დაზიანებული წყობა



დაზიანებული წყობა



დაბზარული კედელი ინტერიერში



დაზიანებული სვეტი (ბაზა)



დაზიანებული საშენი მასალა



შესაცვლელი ღიობი

ანჩისხატის ტაძრის მცირე  
სახელოვნებათმცოდნეო კვლევა



## I) ისტორიული ექსკურსი და სახელოვნებათმცოდნეო მიმოხილვა

უძველესი, ჩვენამდე შემონახული ნაგებობა თბილისში, ანჩისხატის ტაძარი, ქალაქის უმძიმესი ისტორიის თანაზიარი და მონაწილე იყო. მნიშვნელოვანი გადაკეთებების მიუხედავად, მან შეინარჩუნა ძირითადი სტრუქტურა და ამავდროულად შის კედლებზე, სხვადასხვა დროის გადაკეთერბათა კვალიც იკითხება.

ანჩისხატის ეკლესია, რომელიც VI ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება წარმოადგენს ერთ-ერთ ადრეულ სამნავიან ბაზილიკას, რომლის კომპოზიცია გართულებულია სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან სანათლავის არსებობით. სამნავიანი სტრუქტურა აღმოსავლეთით სწორკუთხა პასოფორიუმებით ფლანკირებული საკურთხევლით სრულდება. ეს აღმოსავლეთი ნაწილი შევრილია, ცილდება ბაზილიკის მართკუთხა მოხაზულობას.

ოქრისფერი ტუფის კარგად თლილი კვადრებით ნაშენი ფასადების ქვედა ნაწილებში კვადრები დიდი ზომისაა. ზედა მონაკვეთებში ქვის ზომების შემცირებულია. გრძივ კედლებზე თლილი ქვით ამოყვანილ დიდ სიბრტყეებს ზემოთ აგურის წყობა აგრძელებს და შენობა აგურისავე კარნიზით სრულდება. ინტერიერში მკაფიოდ იკითხება ორი სამშენებლო პერიოდი: ნალისებური, ნახევარწრიული და შეისრული ფორმების თანაარსებობა., რაც ამ ორ სამშენებლო პერიოდს თვალსაჩინოს ხდის.

ტაძრის განსხვავებულ არქიტექტურულ ფორმებსა, თუ მასალაში ეს ორი ძირითადი სამშენებლო პერიოდი – VI და XVII საუკუნეები მკაფიოდ იკითხება. XIX ს-ში ნაგებობამ კიდევ ერთი გადაკეთება განიცადა. ამ დროის უხეში სახეცვლის შედეგები XX ს-ის შუა წლების რესტავრაციისას გამოსწორდა.

ანჩისხატის ეკლესიის XVII ს-ის განახლება შუა საუკუნეებში ნაგებობის აღდგენის ერთ-ერთ საყურადღებო ნიმუშად გვევლინება. ტაძარი ამ დროს ჩამოქცეული კამარებით, ნავთაშორისი ბოძებით და დაზიანებული კედლებით მდგარა. მშენებლებს სერიოზული კონსტრუქციული სამუშაო განუხორციელებიათ. მათ მაქსიმალურად გამოიყენეს შემორჩენილი ძველი ნაწილები, ხოლო ახალი – განსხვავებული მასალით, აგურით, და ამ დროისათვის დამახასიათებელი ფორმით შეასრულეს. საყურადღებოა, რა სათუთად შეუნახავთ ნავთაშორისი თაღების ქუსლები საკურთხეველთან და დასავლეთ კედელთან, ხოლო აქედან გადაყვანილი თაღისთვის ნახევარწრიული ფორმა მიუციათ და ძველი არ გაუმეორებიათ.

ფასადებზე დიდი სიფრთხილით, შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულია ძველი ნაწილები. ქვით ამოყვანილი თავდაპირველი წყობის გადარჩენილი ფრაგმენტები და ხანდაზმულობისგან დამდნარი ცალკეული კვადრები აგურის ‘ჩარჩოშია’ მოქცეული და ირგვლივ შემოშენებით სათუთადაა დაცული. აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადის დაზიანებული ნაწილების აღსადგენად ძველი ქვებია ხელმეორედ გამოყენებული. გადათლის გამო კვადრების ზომა შემცირებულია, რაც ძველისგან აშკარად გამორჩეულ წყობას ქმნის, თუმცა მიღწეულია მხატვრული მთლიანობა.

XVII ს-ის აღდგენისგან განსხვავებით XIX ს-ში ეკლესიის განახლება უდიერად მოხდა. გაუგებარი დარჩა სიძველის მშვენიერება და ის შელესვა-შეთეთრებით მიიჩქმალა. საუკუნის შუაწლებში ბაზილიკის გადახურვის კეხზე პატარა, უფუნქციო ცრუ გუმბათი დააშენეს, ხოლო 1876 წელს დასავლეთიდან მრავალსართულიანი სამრეკლო მიადგეს. ძველი სარკმლები და შესასვლელთა ლუნეტები დაახშეს და ულაზათოდ დიდი, ქართული ეკლესიისთვის შეუსაბამო ახალი ფანჯრები გაჭრეს. ინტერიერში არსებული 1683 წლის

კედლის მხატვრობა დასერეს, გადალესეს და ზეთის საღებავებით მოხატეს, ხოლო იატაკი 1 მ-ით აწიეს, რამაც შიდა სივრცე სრულიად შეცვალა და დააკნინა.


1958-1960 წლებში, თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით ანჩისხატს არქიტექტორ-რესტავრატორ რუსულან გვერდწითელის ხელმძღვანელობით ჩაუტარდა სამეცნიერო-კვლევაზე დაფუძნებული რესტავრაცია . ამოცანა მეტად რთული და სერიოზული იყო. უხეშად სახეცვლილი ტაძარი გათავისუფლდა ცრუ გუმბათისა და ახალი სამრეკლოსგან. გაიხსნა და თავდაპირველი სახით აღდგა XIX ს-ში ამოქოლილი ლუნეტებიანი შესასვლელები, სარკმლები და ნიშები; გამოვლინდა და გაიმიჯვნა VI და XVII საუკუნეების ძირითადი სამშენებლო ფენები.

სპეციალურად შეირჩა კარიერი (სომხეთში) შესაფერისი ტუფის მოსაპოვებლად, რათა VI ს-ის კედლის დაზიანებული წყობის გამაგრებას და ახალ შევსებებს ნაგებობის მხატვრული სახის მთლიანობა არ შეელახა. დროის სიმცირის გამო ძეგლის აზომვა, გახსნა, გვიანდელი მიწაშენების დაშლა და სახურავის შეკეთება პარალელურად მიმდინარეობდა. საიუბილეო მზადებასთან დაკავშირებული სიჩქარის გამო, იატაკის დონის დაწევა ძველი ზღურბლების, ბაზისების და სხვა მონაცემთა შეჯრების საფუძველზე, მის ერთიან გახსნამდე მოხდა. სამუშაოს მიწურულს, ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში აღმოჩნდა ძველი იატაკის ფრაგმენტი, რომელიც 23 სმ-ით მაღლა იყო ახალ დაგებულთან შედარებით. საბეჭნიეროდ, ეს სხვაობა მისაღები აღმოჩნდა. ამ შემთხვევამ ერთხელ კიდევ აჩვენა, რომ რესტავრაციისას, ძეგლის სრულ გახსნამდე გადაწყვეტილებების მიღება დაუშვებელია.


კონსერვაციისა და ნაწილობრივი რესტავრაციის მეთოდის გამოყენებით, რ. გვერდწითელმა გამოვლენილი მასალის შესწავლისა და ღრმა ანალიზის საფუძველზე, მაღალი დონის სარესტავრაციო სამუშაოს განხორციელებით ანჩისხატს დაუბრუნა შესაბამისი ხუროთმოძღვრული სახე და მხატვრული მნიშვნელობა. მიუხედავად მოკლე ვადებისა მან ეკლესიის გახსნამდე და გახსნის მერე შეასრულა დეტალური ფიქსაცია, შეადგინა „ძეგლის შესწავლის ანგარიში“, „რესტავრაციის პროექტის დასაბუთება“ და „სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების ანგარიში“, რაც ზუსტ წარმოდგენას იძლევა ჩატარებულ სამუშაოზე. მოგვიანებით, ამ მასალის საფუძველზე გამოქვეყნდა ნაშრომი – „წმ. მარიამის“ ეკლესია თბილისში, ანჩისხატი“, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის ძეგლის გახსნისა და შესწავლის შედეგებს და ერთგვარ სახელმძღვანელოდაც გამოდგება სარესტავრაციო საქმიანობის დეტალებში გასარკვევად.

ანჩისხატის ეკლესია ერთერთი ყველაზე ადრეული ბაზილიკა საქართველოში და ყველაძე ძველი ქრისტიანული შენობა თბილისში, რომლის კედლებზე სხვადასხვა დროის გადაკეთების ისტორიაა ასახული, და რომელიც ასევე არქიტექტურის რესტავრაციის სანიმუშო მაგალითია.


II) საარქივო მასალა




ანჩისხატის გენ-გეგმა (რ. გვერდწითელის ნახაზი)



ანჩისხატის ტაძრის გეგმა (რ. გვერდწითელის ნახაზი)



ანჩისხატი, განივი კვეთი ანაზომი რეკონსტრუქციამდე (რ. გვერდწითელის ნახაზი)



անհուսխաբի, II սարտառական գյուղա (Ռ. Հայերդաշտիութեալու նախաֆուն)




ანჩისხატი, ფოტო რეკონსტრუქციამდე (ხედი დასავლეთით)



ანჩისხატი, ფოტო რეკონსტრუქციამდე (ხედი დასავლეთით)

1 губернаторская плош. 64 груз. синодальн. контора 63 дом экзарха 46 церк св. Георгия (карис)  
60 католическая 51 Джиграшен 50 Сурб Ншан 45 Аничсхати



ძველი თბილისის ხედი

III) ბიბლიოგრაფია

1. რ. გვერდწითელი „წმ. მარიამის“ ეკლესია თბილისში, ანჩისხატი“, თბ., 2001
2. არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში, თბ.2012

ხელოვნებათმცოდნე: ი. ელიზბარაშვილი

ტაძრის ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობის  
არსებული მდგომარეობის ანალიზი,  
ფოტოფიქსაცია, შეფასება და წინასაკონსერვაციო  
სამუშაოების განსაზღვრა



## I) ძეგლის ზოგადი აღწერა

ეკლესიის საკურთხეველში შემორჩენილია 1683 წ-ს კათალიკოს ნიკოლოზ ამილახვრის დაკვეთით შესრულებული მხატვრობა. აღსანიშნავია აფსიდის შუბლზე გამოსახული 'იესეს ძირი', რომელიც საქართველოში საკმაოდ ხშირია და ბაგრატიონთა გვარის ბიბლიურ წარმომავლობაზე მიანიშნებს. მოხატულობა XVII საუკუნის ე.წ. ქართლის სკოლის ნიმუშია და თანადროულ კედლის მხატვრობასა და სამინიატურო ხელოვნებაში ეძებნება პარალელები.

ძირითად სივრცეში შემორჩენილი მოხატულობა 1813 წ-ს, დეკანოზ დიმიტრი ალექსიმესხიშვილის მიერ ტაძრის განახლების შემდეგ არის შესრულებული და, ნაწილობრივ, 1890-იან წწ-შია გაცხოველებული.

შუა ნავის კედლებზე ძველი აღთქმის სცენებია გამოსახული, თაღებში კი - მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ისტორიის ციკლი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ერთადერთია საქართველოში.

მხატვრობა შუა საუკუნეებიდან ახალ დროზე გარდამავალი ხანის ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშია და XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ ხატწერასთან და 1823 წელს მიტროპოლიტ იოანე ბოდბელი-მაყაშვილის დაკვეთით შესრულებულ ბოდბის ტაძრის მოხატულობასთან ამჟღავნებს სიახლოვეს.



## II) მხატვრობის მდგომარეობის წინასწარული კვლევა

არსებული წინა საპროექტო კვლევა მოიცავს მთლიანად მეგლისა და განსაკუთრებით ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობის ვიზუალურ, ზოგად დახასიათებას, რომელიც მომავალში მოითხოვს დეტალურ შესწავლას, რაც მხატვორობაზე ახლო დაკვირვების გარეშე ამ ეტაპზე შეუძლებელია.

პირველადი დაკვირვების შედეგად ინტერიერსა და ექსტერიერზე გამოიკვეთა ის დაზიანებები, რომლებიც ხილულია ტაძრის იატაკიდან, ახლოდან დაკვირვების გარეშე.

შესაბამისი მიზეზების გამო, სავარაუდოდ მხატვრობის ახლანდელი მდგომარეობა მოიცავს ბევრ სხვა სახის დაზიანებებსაც (მაგ: მიკრო-ბზარებს, ფერწერული ფენის აქერცვლას, ნალესობისა და მხატვრობის ფენების განშრევებას და ა.შ.), თუმცა ამჟამად, ხარაჩოს გარეშე შეუძლებელია დაწვრილებითი აღწერის გაკეთება.

ანჩისხატის კედლის მხატვრობის პირველადი ვიზუალური დაკვირვებით გამოიკვეთა შემდეგი დაზიანებები :

- საფუძვლის ფენაზე (ქვასა და აგურზე) არსებული დიდი ზომის ბზარები
- ნალესობის ფენის ბზარები, რომლებიც ასევე მეორედება ფერწერულ ფენაზე
- ფრინველის ექსკრემენტები, რომლებიც მირითადად გვხვდება სარკმლებისა და პილასტრების ქვემოთ და მოიცავს ძალიან დიდ არეებს, თითქმის მთლიან კედელს.
- შეინიშნება მხატვრობის ფენის დიდი ზომის დანაკარგები, რომლებიც გავრცელებულია გვიანი მხატვრობის არეებში.

საკურთხევლში ვხედავთ ნალესობის დიდი ზომის დანაკარგებს, რისი სავარაუდო მიზეზიც უნდა იყოს არქიტექტურის პრობლები, რადგან შესაძლებელია დიდი ზომის ვერტიკალური ბზარის დანახვა აფსიდის ცენტრში.

მხატვრობის ფენაზე იკითხება:

- ფერწერული ფენის სრული და ნაწილობრივი დანაკარგები,
- ფერწერული ფენის სახეცვლა (გაყვითლებული ადგილები),
- მხატვრობის ზედაპირი დაფარულია ჭუჭყისა და მტვრის ფენით, რაც კარგად ჩანს ნალესობის უსწორმასწორო ზედაპირზე, პორიზონტალური რიგების სახით.

მარცხნივ: აღმოსავლეთ აფსიდის დეტალი.  
ვერტიკალური ბზარი საფუძვლის ქვებს  
შორის, რომელიც სავარაუდოდ გრძელდება  
ნალესობის უკანაც.

მარჯვნივ: აღმოსავლეთ აფსიდი.  
ჩანს ნალესობის დაკარგული  
ადგილი, რომელიც მთლიანი  
ნალესობის ნახევარზე მეტია, რის  
გამოც შეუძლებელია პროგრამის  
შუა ნაწილის დანახვა და მთლიანი  
გამოსახულების აღქმა.



მარჯვნივ: კონქის დეტალი, ფერწერულ ფენაზე აღინიშნება ფერის ფენის ნაწილობრივი და სრული დანაკარგები და ასევე წინა პერიოდის სარესტავრაციო სამუშაოების კვალი, ნაკეტნების სახით.

ქვემოთ: კონქის ნაწილი, ცის სეგმენტის მარჯვნივ ჩანს ყვითელი ფერის ვერტიკალური პატინა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს წყლის ინფილტრაციისგან.

ფერწერული ფენის სრული დანაკარგი

ყვითელი ფერის პატინა  
ფერწერულ ფენაზე





ზემოთ: ჩრდილოეთ ნავის  
თაღის აღმოსავლეთ ნაწილის  
დეტალი.

მარჯვნივ: ჩრდილოეთ ნავის  
თაღის აღმოსავლეთ ნაწილი.  
დეკორატიულ ფერწერულ  
ფენაზე ჩანს დიდი ზომის  
ბზარი, რომელიც სავარაუდოდ  
მოდის საფუძვლიდან.





მარცხნივ: ჩრდილოეთ  
ნავის დასავლეთ  
ნაწილი.  
კამარის ცენტრში,  
მთელი ნავის  
გაყოლებაზე არის  
დიდი ზომის ბზარი.

მარცხნივ ზემოთ:  
ჩრდილოეთ ნავის  
დასავლეთ ნაწილის  
დეტალი. ნალესობის  
ნაწილი დაკარგულია  
და ჩანს ქვის წყობა.



„მარცხნივ: შუა ნავის ჩრდილოეთ კედელი. მხატვრობის ზედაპირი მთლიანად დაფარულია ფრინველის ექსკრემენტით, რისი მიზეზიც სავარაუდოდ არის ის, რომ ტაძარში ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარკმლებში არ იყო ჩასმული მიწები. ამ ტიპის დაზიანება უმეტესად გავრცელებულია სარკმლების ქვემოდ და ასევე პილასტრების ქვემოდ, რადგან პილასტრის თავი კარგი ადგილია ფრინველისთვის ჩამოსაჯდომად და ასევე ბუდეს გასაკეთებლად.

ქვემოთ: შუა ნავის ჩრდილოეთ კედლის დეტალი, კარგად განირჩევა ექსკრემენტებით დაფარული მხატვრობის ზედაპირი.



ქვემოთ: შუა ნავის ჩრდილოეთ  
კედლის აღმოსავლეთ ნაწილი.

საფუძვლის ქვის დიდი ზომის  
დანაკარგის ქვემოდ ჩანს ფრინველის  
ექსკრემენტები, სავარაუდოდ  
დაკარგული ადგილი წარმოადგენდა  
ხელსაყრელ ადგილს  
ფრინველისათვის ჩამოსაჯდომად.

ამავე ფოტოზე, დაკარგული  
ადგილის გვერდით ჩანს დიდი  
ზომის ბზარი, რომელიც  
სავარაუდოდ საფუძვლიდან მოდის  
და გრძელდება კედლის ქვედა  
ნაწილშიც და გადადის თაღის  
შიგნით ნაწილზეც.

მარჯვნივ: შუა ნავის ჩრდილოეთ  
კედლის დეტალი



მარჯვნივ: იგივე  
კედლის ქვედა  
ნაწილი. ფოტოზე  
ნათლად ჩანს  
ბზარი, რომელიც  
საკმაოდ დიდ  
პერიმეტრზე  
მიუყვება კედელს



შუა ნავის კამარის დასავლეთ ნაწილი. აღინიშნება ფერწერული ფენის დიდი ზომის დანაკარგები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სახურავიდან წყლის ინფილტრაციის გამო, რადგან კამარის ცენტრში, მთელს სიგრძეზე არის დიდი ზომის ბზარი. ანალოგიური დაზიანებაა გავრცელებული სამიერ ნავის კამარაში. ხარაჩოს გარეშე რთულია თქმა, მაგრამ შესაძლებელია ასევე იყოს მარილის ფენა.



ქვემოთ: სამხრეთ ნავის  
აღმოსავლეთ ნაწილი.

მარჯვნივ: სამხრეთ ნავის  
აღმოსავლეთ ნაწილის  
დეტალი, აღინიშნება  
ფერწერული ფენის  
სხვადასხვა ზომის დანაკარგი,  
დიდი ზომის გაშავებული  
ადგილი, რაც შეიძლება იყოს  
ჭვარტლის სქელი ფენა და  
ასევე, მარჯვენა ზედა  
ნაწილში არსებული თეთრი  
ფერის პატინა შესაძლოა იყოს  
გამომარილება.



### III) რეკომენდაციები

- მოხატულობის მდგომარეობის ზარაჩოდან შესწავლა
- მოხატულობის დაზიანებათა ტიპებისა და მოცულობების ზუსტი განსაზღვრა (შესაბისი დოკუმენტაციის დართვით)
- მოხატულობის შესრულების ტექნიკის კვლევა (შელესილობისა და პიგმენტების ანალიზი)
- მოხატულობის ბიოლოგიური კვლევა
- წინა პერიოდის სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოყენებული მასალების შესწავლა
- საჭიროების შემთხვევაში მოხატულობის კრიტიკული ადგილების გადაუდებელი გამაგრება
- მოხატულობის ზედაპირული წმენდის ტესტირება



მხატვრობის კონსერვაციის პროექტის ხელმძღვანელი: ნანა კუპრაშვილი  
კედლის მხატვრობის კონსერვაციის კონსულტანტი: გურამ ჭეიშვილი  
კედლის მხატვრობის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა: მზია ჯანჯალია  
მხატვრობის კონსერვაციის პროექტში ასისტენტი: გვანცა ფოცხიშვილი  
მხატვრობის კონსერვაციის პროექტში ასისტენტი: ნუცა პაპიაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური მიმოხილვა



## I) შესავალი

წინასწარი შეფასების მიზანს წარმოადგენდა, როგორც ტაძრის განთავსების ადგილის საინჟინრო გეოლოგიური პირობების, ასევე ეკლესიის ფიზიკური მდგომარეობისა და საძირკვლის სავარაუდო ვარგისიანობის დადგენა.

ანჩისხატის ტაძარი მდებარეობს ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (მის. ი. შავთელის ქ. #19).

ანჩისხატის ტაძარი წარმოადგენს ტუფის თლილი ქვით ნაშენ სამნავიან ბაზილიკას, რომლის ჩრდილოეთით ი.შავთელის ქუჩის საზღვარზე განთავსებულია აგურით ნაშენი ორსართულიანი სამრეკლო.

## II) საკვლევი რაიონის ბუნებრივი პირობები

საკვლევი ტერიტორია განთავსებულია ზომიერად კონტინენტური კლიმატის ოლქში და ხასიათდება მშრალი, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით.

იანვრის საშუალო ტემპერატურა  $0.50^{\circ}\text{C}$ , ხოლო ივნისის  $24.10^{\circ}\text{C}$ , მინიმალური ტემპერატურა დაიკვირვება იანვარში –  $-20.0^{\circ}\text{C}$ , მაქსიმალური აგვისტოში  $35-36.0^{\circ}\text{C}$ , ზოგჯერ  $40.0^{\circ}\text{C}$ .

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა თითქმის ერთნაირია მთელი რაიონისათვის. ტენიანობის საშუალო წლიური მნიშვნელობა  $65\text{A}\%$ . მაქსიმალური ტენიანობა იანვარში, მინიმალური – ზაფხულის თვეებში.

ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს  $450-550$  მმ-ის ფარგლებში. წლიური მაქსიმუმი ემთხვევა გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის დასაწყისს (მაისი-ივნისი), ხოლო მინიმუმი – იანვარს.

გეოლოგიური ჭრილი განაპირობებულია მესამეული ასაკის ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით. მათ მიერ წარმოქმნილი ძლიერ დანაწევრებული პალეორელიეფი გადაფარებულია მძლავრი მეოთხეული დელუვიურ-პროლოვიური გენეზისის რბილშეკავშირებული გრუნტებით და ტექნოგენური წარმონაქმნებით.

გრუნტის წყლები, როგორც წესი ძირითადი ქანების და მეოთხეული საფარის კონტაქტზე დაიკვირვება.

წყლების მოძრაობის ძირითადი მიმართულებაა ადგილობრივი ეროზიის ბაზისი – მდ. მტკვარი. ისინი იკვებებიან ატმოსფერული ნალექებით და დაზიანებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან გამონადენი წყლებით.

### III) საკვლევი ტერიტორიის გეოტექნიკური დახასიათება

საკვლევ უბანზე გავრცელებული გრუნტები მრავალი ათეული წელია გამოიყენება აქ განთავსებული – ზემოთ აღნიშნული ნაგებობების – საძირკვლების ფუძეებად. აქ ისინი წარმოდგენილი არიან ანთროპოგენული გენეზისის ტექნოგენური ქანების ჯგუფით.

ტერიტორიის რელიეფი ტექნოგენური ხასიათისაა, ფორმირებულია ადამიანის საყოფაცხოვრებო ზემოქმედების შედეგად; ხასიათდება ქანობით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მიწის ზედაპირის ნიშნულები მერყეობენ 393\_396 მ-ის ფარგლებში.

შესწავლილ საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილს (საფონდო მასალებზე დაყრდნობით) შემდეგი სახე აქვს: ზედაპირიდან 3-5 მ. სიღრმემდე გავრცელებულნი არიან ტექნოგენური გრუნტები, რომლებიც წარმოდგენლია 15%-მდე უხეშნამტვრევი ჩანართებისა და სამშენებლო ნარჩენების შემცველი ნახევრადმაგარი თიხნარებით; ტექნოგენური გრუნტების ქვეშ გავრცელებულია მცირე სიმძლავრის 0.5-1.5 მ. სიმძლავრის კაჭარ-კენჭნარი, თიხნარის შემავსებლით; ზემოთ აღწერილი მეოთხეული ასაკის გრუნტების ქვეშ გავრცელებულია ძირითადი ქანები – მესამეული ასაკის ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა; მიმდებარე ტერიტორიებზე ადრე ჩატარებული კვლევების მასალებიდან ჩანს, რომ გრუნტის წყლები ქიმიური შემადგენლობის მიხედვით მინერალიზებული (2.2 გ/ლ), სულფატურ კალციუმიანი ტიპისაა.

### IV) ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის შეფასების შედეგები

ანჩისხატის ტაძარი ნაშენია ტუფოქვიშაქვებისა და ტუფის თლილი ბლოკებით. ეკლესია, როგორც ზემოთ ღინიშნა, მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე. მდინარის ქვემო წელში ორთაჭალჰესის აშენების შემდეგ, მნიშვნელოვნად აიწია გრუნტის წყლის დონემ, ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიურ პირობებს ასევე ამძიმებს ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან ჩამომდინარე კომუნიკაციებიდან და სანიაღვრე სისტემის დაზიანებით გამოწვეული ზედაპირული ჩამონადენი და გაუონილი წყლები, რაც ხელს უწყობს ტაძრის განთავსების ადგილზე წყლის ინტესიურ შემოდინებას.

ტაძარზე გაჩენილი დეფორმაციები, სავარაუდოდ ამ პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ტაძრის დაფუძნების პირობების და მისი მდგომარეობი დეტალური შესწავლისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია საძირკვლის გახსნის და საგები გრუნტების შესწავლის გარდა, მოხდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის წყლებზე პიეზომეტრული დაკვირვება, რაც საშუალებას მოგვცემს ზუსტად განისაზღვროს ის აუცილებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები, რომლებიც ასე აუცილებელია ამ საოცარი ისტორიული ძეგლის სიცოცხლის გასახანგრძლივებად.

ინჟინერ-გეოლოგი: გ. რაზმაძე

არქეოლოგიური მიმოხილვა



## I) წინასწარული არქეოლოგიური კვლევა

VI ს-დან მოყოლებული, ანჩისხატის ტაძარი და შემოგარენი არაერთგზის იყო ხელნახლები; ძირეული ცვლილებები კი განიცადა XVII და XIX საუკუნეებში [პ. კარბელაშვილი.

1902გვ.90-95]. XX საუკუნის 50-იან და 80-იან წწ. განხორციელდა მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები [რ. მეფისაშვილი. 2001].

შურფების რაოდენობა და განლაგება. განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე ტაძრის გარე პერიმეტრზე საჭიროა საკონტროლო შურფების ამოღება, რადგან არაა გამორიცხული VI საუკუნეზე ადრეული სამშენებლო ფენის გამოვლენა. ეს ვარაუდი მით უფრო საფუძვლიანია, თუ გავითვალისწინებთ თბილისის მოცემული უბნის ინტენსიურ განაშენიანებას უძველესი დროიდან. სრული სურათის შესაქმნელად, შურფის ამოღება სასურველია : 2-2 აღმოსავლეთ და დასავლეთი ფასადების კუთხეებში, თითო N და S კედლების შუა ნაწილებში; 2 - სანათლავის SO და NO კუთხეებში.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ანჩისხატის ტაძარზე სარეაბილიტაციო სამუშაოების საწყის ეტაპზე მაინც, აუცილებელია სპეციალისტ -არქეოლოგის მეთვალყურეობა; მით უფრო, რომ 1958 წ. ჩატარებული სამუშაოები არქეოლოგიური კვლევის გარეშე მიმდინარეობდა (ყოველ შემთხვევაში, ქალბატონ რუსულდან მეფისაშვილის ნახსენებ ნაშრომში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი).

არქეოლოგი: თ. ბიბილური

მოსაზრებები სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიისა და  
ტექნოლოგიის განსასაზღვრად



## სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის ტიპები და სახეობები

საუკუნეების მანძილზე ტაძრის ხანგრძლივი ექსპლუატაციის ფონზე დამპყრობელთა მიერ პერიოდულად განხორციელებული წგრევები, სტიქიური გადაკეთებები, თავდაპირველი სამშენებლო მასალებისაგან თვისობრივად განსხვავებული მასალით გამოყენებით განხორციელებული აღდგენები, მე-20 საუკუნეში ჩტარებული სარესტავრაციო სამუშაოები და სახვა გარემო ბუნებრივი თუ სტიქიური ფაქტორების ძემოქმედება (ატმოსფერული ნალექები, ტემპერატურული რეჟიმის ცვალებადობა, მიწისზვრები,...) ცალსახად განაპირობებს ანჩისხატის ტაძრის დეტალური ტექნიკური გამოკვლევის აუცილებლობას.

ტექნიკური კვლევა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით.

აუცილებელია კედლებისა და სახურავის განშლებზე ბზარებისა და დაზიანებების დატანა დეფორმაციული სურათის ნათლად წარმოდგენის მიზნით ხოლო მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება. ისეთი კონსტრუქციული და არქიტექტურული აღდგენა გამაგრებითისაპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, რომელიც არ დაარღვევს ავთენტურობის პრინციპებს.

ზემო აღნიშნული კვლევებიდან გამომდინარე ანჩისხატის ტაძრის დაზიანებათა აღმოფხვრისა და მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის წინასწარეული კვლევით განისაზღვრა შემდეგი სამუშაოების ჩატარება :

### I) მიწის მოჭრის სამუშაოები

- მიწის მოჭრა ცოკოლის დონის გამოსაჩენად (საარქივო ნახატის მიხედვით მიწის დონე არის აწეული, საჭიროა მიწის მოჭრა ცოკოლის გამოსავლენად ტაძრის ოთხივე ფასადზე).



ფოტო გვერდწითელის წიგნიდან საღაც ნათლად ჩანს ცოლოლი

- უნდა მოეწყოს წყალგადამყვანი სისტემა ჰიდროლოგიური კვლევის საფუძველზე.

## II) ხარაჩოს მოწყობა

- შენობის ყველა ფასადზე და ინტერიერში ინვენტარული ხის ხარაჩოს მოწყობა
- ხარაჩოზე დროებითი წყალგაყვანილობსა და სამუშაო ნიუარის მოწყობა საინექციო სამუშაოების შეუფერხებლად ჩატარებისათვის ასევე ელექტროენერგიით და განთების სისტემით უზრუნველყოფა.
- შენობის ფასადების დამცავი ბადით შემოფარგვლა.
- აუცილებელია ძეგლის დროებითი გადახურვის მოწყობა

## III) კედლის მხატვრობის კონსერვაცია

- ძეგლზე გამაგრებითი სამუშაოების დაწყებამდე მოხდეს კედლის მხატვრობის დროებითი გამაგრება რათა თავიდან იქნეს აცილებული რაიმე გართულება

- ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩატარდეს სრული საკონსერვაციო გაწმენდითი სამუშაოები პროექტირების ეტაპზე შედგენილი საკონსერვაციო გეგმის მიხედვით. (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ტაძრის მოხატულობის წინასწარეული კვლევა)

#### IV) ძეგლის სტრუქტურული გამაგრება

- პროექტირების ეტაპზე აუცილებელია მოხდეს ძეგლის ენდოსკოპიური კვლევა შემავსებლის მდგომარეობის განსასაზღვრად. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად დათვალიერება ჩატარებული უნდა იქნას როგორც ციფრული ასევე სამედიცინო ენდოსკოპით.



სამედიცინი ენდოსკოპი




ციფრული ენდოსკოპი



მაგალითი: ატენის სიონის ენდოსკოპიური კვლევა

- სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ენდოსკოპიურ კვლევაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს მეგლის სტრუქტურული გამაგრება ინექტირების მეთოდის გამოყენებით, ინექტირება უნდა მოხდეს ბზარებსა და საპირე წყობებს შორის შემავსებელში საინექციო ტუბების გამოყენებით რის შედეგადაც საპირე წყობის ქვები და კედლის შიდა მასა გაერთიანდება.



საინექციო მიღების მოწყობის სქემა

## V) ქვის კონსერვაცია

- პროექტირების ეტაპზე აუცილებელია საშენი მასალის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული და ბიოლოგიური ანალიზების ჩატარება ასევე საშენი მასალის დაზიანებათა სქემის შედგენა (კარტირება).
- სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ჭვის სტრუქტურული გამაგრება საჭიროების შემთხვევაში ეთილ სილიკატისა და კირ-დუღაბის ხსნარის გამოყენებით.
- აუცილებელია მეგლის ბიოლოგიური დაზიანებების აღმოფხვრა შესაბამისი ანალიზების მიხედვით შერჩეული ბიოციდის ხსნარით.
- შოვებში გამოსასუფთავებელია დაზიანებული დუღაბი და ამოსაგოზია აზალი კირ-დუღაბის ხსნარით.

#### **VI) მველი იატაკის ან გაწმენდა კონსერვაცია ან შეცვლა**

- უნდა მოხდეს იატაკის გაწმენდა სპეციალური ბსნარების გამოყენებით დაზიანებული ადგილები უნდა შეკეთდეს წინასწარ განსაზღვრული მეთოდოგოგით

#### **VII) მინაშენის კონსერვაცია**

- აუცილებელია მინაშენის ტერიტორიის გათხრა
- კონსერვაცია უნდა მოხდეს იგივე მეთოდების გამოყენებით რა მეთოდების გამოიყენება ტაძრის რეაბილიტაციის შემთვევაში ქვის კონსერვაციის და მეგლის სტრუქტურული გამაგრების დროს.

#### **VIII) დაძრული ქვების ჩაანკერება**

- საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაძრული ქვების ჩაანკერება მასალად შესაძლებელია გამოყენებული იქნას მეტალის ან მინის ბოჭკოვანი ანკერები (ზემოხსენებული მეთოდი არის ერთერთი ყველაზე თანამედროზე და ამავდროულად გამოცდილი ხერხი).

$\varnothing 4$		= $\varnothing 6$
$\varnothing 6$		= $\varnothing 8$
$\varnothing 7$		= $\varnothing 10$
$\varnothing 8$		= $\varnothing 12$
$\varnothing 10$		= $\varnothing 14$
$\varnothing 12$		= $\varnothing 16$



მინაბოჭკოს არმატურა

#### **IX) გამტყდარი არქიტრავის ქვის გამაგრება**

- დაზიანებული არქიტრავის ქვა დროებით უნდა იქნას დაჭირილი დონკურატებით მოიხსნას მველი ლითონის ჩანგალები და გამაგრდეს თანამედროვე მასალის გამოყენებით (შესაძლებელია ბაზალტის ბოჭკოს ან მინაბოჭკოს გამოყენება).

#### **X) ბურღვითი გამაგრება**



- კონსტრუქციული თვალსაზრისით მეგლის გასამაგრებლად საუკეთესო გამოსავალია ბურღვითი გამაგრება მასალად აუცილებელია გამოყენებული იყოს უჯანგავი ლითონი (შესაძლებელია ტიტანის არმატურის გამოყენება) გაბურღვა უნდა მოხდეს 2 დონეზე არმატურები ერთმანეთთან გადაბმული უნდა იყოს ხრახნის პრინციპის გამოყენება და გამორიცხული იყოს შედუღება.

XI) **დაზიანებული კარნიზის აღდგენა**




- კარნიზის დაზიანებული ელემენტები არის აღსაღვენი

XII) **კარნიზის არსებული სახურავის დემონტაჟი და ახლის მოწყობა**

- უნდა მოხდეს არსებული დაზიანებული სახურავის დემონტაჟი ზედმეტი დუღაბის ფენის მოშორება და გაწმენდა
- ნავები უნდა გადაილესოს კირ-დუღაბის ხსნარით და მოეწყოს ახალი სახურავი კრამიტის ფენილით სახურავის მოსაწყობად გამოყენებული უნდა იქნას სხვადასხვა ფორმის კრამიტი.



კრამიტი I



კრამიტი II

XIII) **ეკლესიის კარებებისა და ფანჯრების შეცვლა ახლით**

- უნდა შეიცვალოს ეკლესიის კარებები და ფანჯრები ახალი ღიობები უნდა იქნას დამზადებული შედგენილი მუხის ხისაგან (შედგენილი მუხის ხის მასალა დამუშავებულია ქარხნლად და გამორიცხვას შემდგომ დეფორმაციებს მასალა არის სტანდარტულად მაღალი ხარისხის რადგან ტექნოლოგიური ხაზი არის სრულიად ავტომატიზებული).



შედგენილი ხის კონსტრუქცია (აქსონომეტრიული ხედი და ჭრილი)

XIV) **ძეგლის განათების სისტემის მოწყობა**

- ანჩისტახის ტაძარი თბილისის გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია მისი ღამე სწორად აღსაქმელად პროექტირების ეტაპზე აუცილებელია განათების სისტემის პროექტის შემუშავება, და შემდგომში განხორციელება.

მთავარი არქ-რესტავრატორი: თ.გაბუნია

კონსტრუქტორი: დ. რამიშვილი

არქ. რესტავრატორი: გ. კოტეტიშვილი

სტუდენტ-პრაქტიკანტი: გ. ტრაპეიძე

საკონკურსო წინადადება, საპროექტო ხარჯთაღრიცხვა და აფიდავიტი



საკონკურსო წინადადება და საკონკურსო  
წინადადების ფასი





საქართველოს მთავრობა  
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE

## საკონკურსო განაცხადი

ქ.თბილისის, ანჩისხატის ეკლესიის სარეაბილიტაციო  
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის  
შედგენის მომსახურებაზე

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს:  
29975 ლარს

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა



ქ. თბილისი, ანჩისხატის ეკლესიის რეაბილიტაციის  
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის  
მომზადების ხარჯთაღრიცხვა

### ხარჯთაღრიცხვა

N	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება
1	განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა)	1000
2	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა	300
3	ტოპოგრაფიული გეგმა	500
4	სისტემატიზირებული ფოტომასალა	700
5	საარქივო არქიტექტურულ- არქეოლოგიური ანაზომების გამოყენება და მათი კორექტირება არსებულ ლოკალურ დაზიანებათა დატანით	2500
6	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	700
7	არქეოლოგიური მეთვალყურეობა და მისი შედეგები	3000
8	საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევა	2500
9	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა	2000

10	პროექტის არქიტექტურული ნაწილი	4000
11	პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	3500
12	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი, ხარჯთაღრიცხვა, სარეაბილიტაციო სამუშაოების ორგანიზება და გეგმა-გრაფიკი	750
13	კულტურული შემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი	400
14	კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი	400
15	ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტების კონსერვაციის პროექტი	5000
	სულ ხარჯი	27250.0
	ზედნადები ხარჯები 10%	2725.0
	სულ თანხა	29975.00

გამგეობის თავმჯდომარე კახა ტრაპაიძე



სამუშაოები განხორციელდება II ეტაპად, სამუშაოების ჩაბარების ვადაა 2013 წლის 4 დეკემბერი.

აფიდავიტი



## აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

\* ჩემთვის ცნობილია. რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება. თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

\* უფლებამოსილი ვარ პრეტენზის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

\* ნებისმიერი პირი. რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე. შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

\* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს. რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

\* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები. რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

\* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი გაწზრახვისა, პირდაპირ ან არაპირდაპირ. არ გაუმჯდავნებია ან/და არგაუმჯდავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.



გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით. ადასტურებს დოკუმენტი შეთითქმილი ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საუს აგწა. აღნიშვნილი ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა ისკონის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

